წერილის ნომერი: **15-01210602887**
თარიღი: **01/03/2021**
პინი: **8081**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი
მისამართი: საქართველოს პარლამენტის წევრს ქალბატონ ნინო წილოსანს

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალბატონო ნინო,

თქვენ მიერ გამოგზავნილი N582/4-1/21 წერილის პასუხად გიგზავნით ინფორმაციას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

მოგახსენებთ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები - ადმინისტრაციის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე და მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელებული თემატური მოკვლევის ჯგუფთან „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“ სამუშაოს ფარგლებში, რომელიც შეისწავლიდა სამთავრობო პოლიტიკის დოკუმენტებს, სტრატეგიებს, განათლების ხელმისაწვდომობას და სხვა.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიაზე არსებული სკოლები ეკუთვნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შესაბამისად შენობა-ნაგებობების ადაპტირება ზემოაღნიშნული სამინისტროს უფლებამოსილებაა, რაც შეეხება მიმდებარე ტერიტორიებს, მერიის მხრიდან უზრუნველყოფილია საგზაო უსაფრთხოების ზომები, უსაფრთხო - მისაწვდომი გადასასვლელები, შუქნიშნები, განათება და სხვა.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ძველი შენობები შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო ახალი შენობების ფიზიკური გარემო მისაწვდომია შშმ პირების საჭიროებებზე. ასევე, სასწავლო პროცესში ინერგება და ვითარდება ინკლუზიური სწავლების პროგრამა.

თბილისის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტო პარკის სრული განახლება. განახლებული მუნიციპალური ავტობუსები შექმნილია უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვით, რაც ავტობუსით სარგებლობას შესაძლებელს ხდის ნებისმიერი მოქალაქისთვის, მიუხედავად მათი შეზღუდვის ტიპისა თუ ხარისხისა.

ასევე, დედაქალაქში ყოველდღიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. იქმნება ან რეაბილიტაცია უტარდება პარკებს, სკვერებს, ტროტუარებს, გადასასვლელებს, ავტობუსის მოსაცდელებს და ა.შ. რა დროსაც დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ხდება შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება. მუშაობის ყოველ ეტაპზე, შშმ პირების ან მათი წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფილია.

იგივე მიდგომა ვრცელდება იმ შენობა ნაგებობებზე, რომლებიც ირიცხება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ან მერიის სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე და წარმოადგენენ სპორტულ დარბაზებს, თეატრებს, მუზეუმებს, მედიათეკებს, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრებს, სამედიცინო დაწესებულებებს (სკრინიგ ცენტრებს) და ა.შ..

ჯანმრთელობის სერვისებზე დამოუკიდებელი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სკრინინგ ცენტრებში ექიმთან ვიზიტის დაჯავშნა ხდება ტელეფონის საშუალებით და არ საჭიროებს ადგილზე მისვლას ან სხვა პირების დახმარებას, თუ პირს არ აქვს სმენის და მეტყველების პრობლემა, ასეთი შემთხვევისთვის კი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური აფინანსებს ჟესტური ენის თარჯიმნების მომსახურების პროექტს. სერვისების ფიზიკური მისაწვდომობისათვის ადაპტირდა სკრინინგ ცენტრის გლდანის ფილიალი, სადაც მისაწვდომია როგორც შენობა, ისე შენობაში მდგარი აპარატურა (გარდა გინეკოლოგიური სკამისა). ასევე მისაწვდომია წერეთლის ფილიალი. შენობა ნაგებობების და კვლებისათვის საჭირო იმ აპარატურის განახლება, რომელიც ამ ეტაპზე სრულად ვერ პასუხობს შშმ პირთა საჭიროებებს, ეტაპობრივად ხორციელდება.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, შშმ პირთა და მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით ახორციელებს არა ერთ მიზნობრივ პროგრამას, მაგალითად: 18 წლამდე სოციალურად დაუცველი შშმ პირების წელიწადში ორჯერადი ფინანსური (400 – 400 ლარის ოდენობით) დახმარება, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება“, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“ რომლიდანაც ხორციელდება თბილისში მოქმედი დღის ცენტრების, უსინათლო პირთა გამცილებლებით უზრუნველყოფის, თარჯიმან დაქტილოლოგთა მომსახურების, სოციალური საწარმოების და შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობების დაფინანსება.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, ხოლო 2021 წლის 1 მარიტად ამოქმედდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბერი დადგენილება №732 ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე, რომელიც ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება №41 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. კანონი „შშმ პირთა უფლებების შესახებ“ და „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“ მთელ რიგ პასუხისმგებლობებს აკისრებს მუნიციპალიტეტებს, მათ შორის არის შშმ პირთა საჭიროებების და შენობა ნაგებობების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმების შემუშავება, რაზეც თბილისის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად მუშაობს. კანონით განსაზღვრულ ვადაში დასრულდება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის“ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სერვისებში ჩართვის პროცესში წარმოქმნილი ბარიერების გამოვლენა - აღმოფხვრას და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიას დაქვემდებარებული უწყებების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების საკითხს, რითიც გვსურს კიდევ უფრო ეფექტური გავხადოთ ჩვენი ყოველდღიური მუშაობა. ამასთანავე, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად შეიქმნება და განხორციელდება შენობა ნაგებობების ადაპტირების გეგმა.

პროგრამების შემუშავების და მათი აღსრულების პროცესში შშმ პირთა ჩართულობისათვის, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის და საქართველოს სამთავრობო გეგმების მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილია “თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“, რომლის წევრთა შემადგენლობას წარმოადგენს: თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, სულ 16 წევრი. საბჭო შეხვედრებს ატარებს როგორც დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით, ასევე რიგგარეშედ, კონკრეტული თემის მოთხოვნათა გათვალისწინებით. საბჭოს პირდაპირი ვალდებულებაა აქტიურად ითანამშრომლოს შშმ პირებთან, მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებთან და შშმ პირთა თემატიკით დაინტერესებულ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, გაეცნოს მათ ხედვებს, იდეებს და უზრუნველყოს მათი ჩართულობა მუშაობის დაგეგმვა - განხორცილების პროცესში.

პატივისცემით,

გიგა სოფრომაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა
საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი